ხელშეკრულება № 9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარეხელშეკრულებადაიდო: 2018 წლის 20თებერვალს

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები.

1.1ერთის მხრივ ა(ა)იპ წალენჯიხის სათნოების სახლი მისი დირექტორის გიორგი ჭანიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

"შემსყიდველი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გამარტივებული შესყიდვის წესით, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვის კანონის" შესაბამისად ავალებს "მიმწოდებელს" ჩაატაროს

ა. სასმელი წყლის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევები ბაქტერიოლოგიურ მაჩვენებლებზე კოდი CPV71900000-ლაბორატორიული მომსახურებები.

3 .სამუშაოს წარმოების, ჩაბარებისა და მიღების წესი

3.1 ხელშეკრულების საგანში /პუნქტი№2/ აღნიშნული სასმელი წყლის ანალიზის ჩატარების ჯერადობას, პერიოდულობას და მაჩვენებლების შერჩევას განსაზღვრავს "შემსყიდველი".

3.2 აღებული ნიმუშები დალუქულ მდგომარეობაში წარედგინება ლაბორატორიას ნიმუშის აღების აქტთან ერთად.

3.3 ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს "მიმწოდებელი" აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს "შემსყიდველს" ნორმების მითითებით ანალიზის დამთავრებისთანავე, მიღება –ჩაბარების აქტთან ერთად.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 210 (ორასათი) ლარს.

4.2 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას სასმელი წყლის 2 ნიმუშის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის "მიმწოდებელს" გადაუხადოს 210 (ორასათი) ლარი ნიმუშის აღებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

4.4 ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში;

4.5 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს "შემსყიდველს" ანგარიშ ფაქტურა (ინვოისი) შესრულებულ სამუშაოზე.

4.6 ანგარიშსწორება იწარმოებს "მიმწოდებლის" მიერ საბუთების წარდგენიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმალობაში.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მხარეები პასუხიმგებლები არიან აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია ინფორმაციის კონფედენციალურობის დაცვაზე.

5.3 მხარეებს შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების გაწყვეტის ვადამდე 10 (ათი) დღით ადრე.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება ან ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

7. ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "შემსყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელის მოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 1 აპრილამდე.

9. დამატებითი პირობები

9.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, აქვთ თანაბარი ძალა და ინახება ორივე მხარესთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

" მიმწოდებელი "

შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"
მის: ქ. ფოთი, გ.ვატაევის ქ.№5ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 215139348
მ/ ა **GE12LB0113140194132000**
ბანკი: ს.ს.ლიბერთიბანკი:
ბანკის კოდი**LBRTGE22**ბანკისკოდი:
ტელ:599506162
ელ.ფოსტა:kvleviscentri@mail.ru

დირექტორი:
---------- გრიგოლ რუხაძე

" შემსყიდველი "

ა(ა)იპ წალენჯიოხის სათნოების სახლი

მის: ქ.წალენჯიხა, სალის ქ.№5
საიდენტიფიკაციოკოდი: 442731698

მ/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში
ტელ: 595957790

ელ.ფოსტა: satnoebissakhli@gmail.com

დირექტორი:
---------- გიორგი ჭანია